სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ასირიოლოგია / Assyriology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ასირიოლოგიის მაგისტრი / Master of Assyriology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	ოთხი სემესტრი (120 კრედიტი) სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 90 კრედიტი - პროგრამის სასწავლო და 30 კრედიტი პროგრამის კვლევითი კომპონენტი, აქედან: 60 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები; 30 კრედიტი - არჩევითი საგნები; 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**მაია ღამბაშიძე** ისტორის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ასირიოლოგიის კათედრა მობ.: (+995) 599 960904 ელ-ფოსტა: maia.ghambashidze@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული ბაკალავრის ხარისხი: ა) ასირიოლოგიის სპეციალობით (major/minor); ბ) სხვა სპეციალობით, თუკი ბაკალავრიატში სწავლისას მან დააგროვა ასირიოლოგიის პროგრამიდან მინიმუმ 15 კრედიტი კონცენტრირებულად ასირიოლოგიის მაპროფილებელ დისციპლინებში; • ერთიანი სამაგისტრო გამოცდა; • წერითი გამოცდა სპეციალობაში ძველი აღმოსავლეთის ისტორიასა და რელიგიაში. • უნდა ფლობდეს უცხო ენას B2 დონეზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ასირიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას ასირიოლოგიის (შუმეროლოგია-აქადოლოგიის და ხეთოლოგიის) მიმართულებით. პროგრამის მიზანია

	• პროფესიონალი ასირიოლოგის აღზრდა და მომზადება შესაბამისი დარგობრივი და კვლევითი კომპეტენციებით, რასაც საფუძველი დაედო ასირიოლოგიის ბაკალავრიატის ოთხწლიანი კურსით: მაგისტრატურის პროგრამა წარმოადგენს ასირიოლოგიის ბაკალავრიატის კურსის ლოგიკურ გაგრძელებას ახალ, გაღრმავებულ დონეზე. • პროგრამა მიმართულია ბაკალავრიატში შემენილი ძველი წინა აზიურ ცივილიზაციათა ენების, მათი დამწერლობის, ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის საბაზისო ცოდნის გაღრმავებისაკენ და რეალურ საფუძველს შეადგენს ასირიოლოგიის დოქტორანტურის კურსისათვის. • მაგისტრის მომზადებისას პროგრამა ხელმძღვანელობს სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტებით და გამოცდილებით, • ასევე ორიენტირებულია პროგრამით მინიჭებული დარგობრივი კომპეტენციებითა და ტრანსფერული უნარებით აღჭურვილი მაგისტრის თანამედროვე ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში წარმატებით დასასაქმებლად. პროგრამა ასევე აძლევს მაგისტრს შანსს, სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების უფრო მაღალ საფეხურზე – დოქტურანტურაში ძირითადი ან მომიჯნავე სპეციალობით. *ასირიოლოგიით – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ენებით, ისტორიის, სოციალური ურთიერთობების საკითხებით, კულტურით, რელიგიის და არქეოლოგიის პრობლემატიკით ქართველ მეცნიერთა დაინტერესება ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. ასირიოლოგიის კათედრა ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შეიქმნა. დიდი ქართველი მეცნიერი იმთავითვე გრძნობდა ამ დარგის შესწავლის აუცილებლობას და ძველაღმოსავლურ საზოგადოებებთან ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიულ-კულტურული კავშირების ძიება საშურ საქმედ მიაჩნდა. აღნიშნული მიმართულება ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მხოლოდ პეტერბურგსა და თბილისში, ხოლო ევროპასა და ამერიკაში წამყვან უნივერსიტეტებში არსებობდა და დღესაც არსებობს. კათედრას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს უნივერსიტეტებში არსებულ ასირიოლოგიისა და ძველაღმოსავლური ცივილიზაციების ცენტრებთან, რაც კვლევათა ინტერნაციონალიზაციისთვის კარგი საფუძველია.*
სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ასირიოლოგია). სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის

	ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	ასირიოლოგიის მაგისტრატურის სრული კურსის გავლის შედეგად მაგისტრი ასირიოლოგიის სამეცნიერო კვლევათა სფეროს ყველა მიმართულების შესახებ (ძველი წინა აზიის ენები: აქადური, შუმერული, ხეთური; მათი დამწერლობა, ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, რელიგია) ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე: • დამოუკიდებლად ამუშავებს ძველი წინა აზიის ენებზე (აქადური, შუმერული, ხეთური) შესრულებულ სხვადასხვა შინაარსის ნებისმიერი სირთულის ტექსტებს – ადგენს მათ ტრანსლიტერაციას, თარგმანს და უკეთებს ისტორიულ–ფილოლოგიურ ანალიზს. • ამუშავებს არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილ ლურსმული დამწერლობით შესრულებული თიხის ფირფიტებს; ქმნის დამუშავებული მასალის ელექტრონულ ვერსიებს და ამზადებს მათ საერთაშორისო მიმოქცევისათვის.
ბ) უნარები	• ფლობს და იყენებს დარგში აპრობირებულ კვლევით მიდგომებსა და მეთოდებს; მეცნიერულ კვლევა-ძიებას წარმართავს კონკრეტულ სამეცნიერო პრობლემაზე ისტორიულ–ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდების გამოყენებით. • ავლენს საკვლევი მასალის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე განზოგადებული დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანის უნარს. • აქვს საჯარო გამოსვლების, სამეცნიერო მოხსენებების, დისკუსიების წარმართვისა და პრეზენტაციების ჩატარების უნარი; დარგის ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე მაღალპროფესიული დაკომპეტენტური ურთიერთობის შესაძლებლობა როგორც ქართველ, ისე უცხოელ კოლეგებთან, აკადემიურ წრეებში.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• მაგისტრს აზროვნების პროცესსა თუ პროფესიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისას გათავისებული აქვს აკადემიური ეთიკის ნორმები; განვითარებული აქვს სხვისი აზრის პატივისცემის, შემწყნარებლობის უნარი; ასირიოლოგიის მაგისტრი არის ზოგადჰუმანისტური ფასეულობების მატარებელი მოქალაქე. • ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლისა და დროის მართვის უნარს. • წარმართავს პრობლემური საკითხების დამოუკიდებლად კვლევა-ძიებას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	პროგრამა აგებულია ინტერაქტიულ სწავლებაზე. ლექციის, სამუშაო ჯგუფებში მუშაობის, პრეზენტაციების, დისკუსიების, შუალედური და

	ფინალური შეფასებების ფორმატში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სტრატეგიები: • სტრატეგია "ექსპერტი/გაზიარება"; • სტრატეგია "ვენის დიაგრამა"; • სტრატეგია "321" ; • სტრატეგია "იფიქრე – დაწყვილდი – გაუზიარე"; • სტრატეგია "სემანტიკური მონაცემების სქემა"; • სტრატეგია "პრეზენტაცია". ასევე გამოიყენება შმდეგი სწავლების მეთოდები: • ვერბალური მეთოდი, • პრაქტიკული მეთოდი, • დემონსტრირების მეთოდი, • დისკუსია/დებატები, • ჯგუფური მუშაობა, • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, • გამოცდილებით (experiential) სწავლება და ა.შ.).
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით[1] უნდა ითვალისწინებდეს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით

[1]შეფასებების შეფარდება შეიძლება იცვლებოდეს საგნის, საგანმანათლებლოპროგრამის (კურსის) ან მოდულის მიხედვით

	გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ **21** ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს ასირიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, უფლება ეძლევა: • სწავლა გააგრძელოს დოქტურანტურაში; • დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული,

	სარედაქტორო); • იმუშაოს სასწავლო დაწესებულებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლოგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობებში. ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში; • იყოს ექსპერტი ორიენტალური სიძველეების განხრით.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სასპეციალიზაციო კურსებს უძღვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ძირითადი აკადემიური პერსონალი: მაია ღამბაშიძე, ისტორიის დოქტორი, თსუ ასირიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი. ნინო სამსონია, ისტორიის დოქტორი, თსუ ასირიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასირიოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკებით და კომპიუტერული რესურსცენტერებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზებზე. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და კომპიუტერული ცენტრები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; საბიბლიოთეკო დარბაზები და წიგნსაცავები: შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, თსუ I კორპუსი; გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N13-ში, თსუ VIII კორპუსი; აღმოსავლეთმცოდნეობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N36-ში, თსუ V კორპუსი https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლებელია 5 სტუდენტის მიღება.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ასირიოლოგიის მაგისტრანტს ეძლევა შესაძლებლობა ითანამშრომლოს “ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოებასთან” (SABC), რომელიც ხელს შეუწყობს მის პროფესიულ განვითარებას და აგრეთვე შეეცდება მის დასაქმებას პროფესიდან გამომდინარე.